



№ 08-139

3 მაისი, 2012წ.

საქართველოს კონტროლის პალატის
პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის
მონიტორინგის სამსახურის უფროსს,
ქალბატონ ნათია მოგელაძეს

ქალბატონო ნათია,

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგს ახორციელებს, რისთვისაც პოლიტიკური პარტიების და სხვა პოლიტიკური ძალების ქმედებებს აკვირდება.

მოგახსენებთ, რომ 2012 წლის 14 და 15 აპრილს, რუსთავის საკრებულოს წევრმა თამაზ გველუკაშვილმა რუსთავის მე-15 და 21-ე მიკრორაიონებში, ასევე თოდრიას, ლომოურის და ლეონიძის ქუჩებზე მცხოვრებ მოსახლეობასთან, ცხვარი და ღვინო გაგზავნა საჩუქრად. ამას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მიერ გამოკითხული რუსთავის მაცხოვრებლებიც ადასტურებენ. ისინი აღნიშნავენ, რომ აღდგომამდე რამდენიმე დღით ადრე სხვადასხვა უბანში შეგროვდა ინფორმაცია კორპუსების მაცხოვრებელთა რაოდენობის შესახებ, ხოლო აღდგომის დღიდან იმავე უბნებში მანქანებით მიიტანეს საჩუქრები - ცხვარი და ღვინო. ზოგიერთ უბანში საჩუქრები რუსთავის გამგეობის და ქვემო ქართლის გუბერნიის თანამშრომლებმაც კი დაარიგეს, თუმცა ყველგან პირდაპირ ითქვა, რომ ისინი თამაზ გველუკაშვილის გაგზავნილი იყო.

საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ მე-5¹ მუხლის თანახმად, აკრძალულია პარტიის მიერ ნებისმიერი პირის საშუალებით საჩუქრის გადაცემა, მის შესაძენად გამოყენებული თანხების წარმომავლობის მიუხედავად, გარდა კამპანიის მცირე ღირებულების მქონე აქსესუარებისა, როგორცაა მაისურები, კეპები, ქუდები, დროშები და სხვა მსგავსი ნივთები. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164¹ მუხლის თანახმად, პოლიტიკური მიზნით ნებისმიერი „ქონების“ „გადაცემა“ გარდა ზემოთ აღნიშნული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების კამპანიის მცირე ღირებულების მქონე აქსესუარებისა, სისხლის სამართლის დანაშაულია.

მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთჩამოთვლილი გამონაკლისები სახეზე არ ყოფილა და შესაძლებელია, სახეზე იყოს როგორც საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ დარღვევა, ასევე სისხლის სამართლის დანაშაული. გასათვალისწინებელია, რომ საჩუქრის გამგზავნი პირი, პოლიტიკური გაერთიანების მიერ პოლიტიკური მიზნით არის წარდგენილი ან მასთან ასოცირდება, რაც ამ პირის პოლიტიკური მიზნების არსებობას უსვამს ხაზს.

მოგმართავთ შუამდგომლობით, გაითვალისწინოთ ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტები, შეისწავლოთ გარემოებები და მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება.

გთხოვთ, მიღებული გადაწყვეტილებისა და განხორციელებული ქმედების შესახებ ინფორმაცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, ჩვენც მოგვაწოდოთ.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,



ეკა გოგაური
აღმასრულებელი დირექტორი

